

პრესრელიზი

"ნეოგაზის" მორიგი აქცია - #მწვანეჩვენიაარჩევანია

„ნეოგაზი როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანია აქტიურად განაგრძობს ეკოლოგიური მიმართულებით სხვადასხვა ტიპის სოციალურ აქტივობებს. კომპანიის ინიციატივით მორიგი გამწვანების აქცია გაიმართა, რომელსაც N178-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებიც შეუერთდნენ. ამჯერად ვარკეთილის საკრებულოსა და ადგილობრივი მაჟორიტარის თხოვნით ახალ რეკრეაციულ ზოლად სკოლის მიმდებარე ტერიტორია შეირჩა.



გამწვანების აქციის ფარგლებში 100 ძირი კედრის ხე, ვარკეთილი 3, მე-2 მ/რ-ში მდებარე N23-ე კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე დაირგო.

ღონისძიების "გამწვანე ვარკეთილის" მიზანია, რაიონში რეკრეაციული

სივრცეების განვითარება და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება. ერთობლივი ძალისხმევით, კი ვარკეთილის 3-ში ერთ-ერთი გამორჩეული სკვერი გაშენდა. "ნეოგაზი"-სთვის გარემოზე ზრუნვა არის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება.

„საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“ (სსეკ) 2005 წლის ივლისში დაფუძნდა. ამჟამად ჯი-აი-ჯი კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია. სსეკ-ის მთავარი სტრატეგიული ბიზნეს ერთეული მოიცავს ელექტროენერჯის გამომუშავებას და ბუნებრივი აირის რეალიზაციას. დღეისათვის სსეკ ამუშავებს 8 მცირე ჰიდროელექტროსადგურს საქართველოში და სტრატეგიული მნიშვნელობის თბოელექტროსადგურს, რომელიც მდებარეობს გარდაბნის რაიონში და უზრუნველყოფს საქართველოს მნიშვნელოვან ენერგორეზერვს. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

